სექცია 1. ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები და თანამედროვე გლობალური გამოწვევებით განპირობებული ტრანსფორმაციები

მთავარი ორიენტირი - ეკონომიკური განვითარება

გიორგი მალაშხია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (ემერიტუსი),
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ანოტაცია

თავიდან ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თეორიას მოკლდ შევეხები, რადგან მათს სწორად გაგებას მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერების, ისე პრაქტიკისათვის. ჩვენს სინამდვილეში კი ხშირად ადგილი აქვს მათი აზრის, განსაკუთრებით ურთიერთდამოკიდებულების დამახინჯებას.

როგორც ცნობილია, ამ ძირეული ეკონომიკური პროცესების თეორიის ფუძემდებელია ავსტრიელი ეკონომისტი და სოციოლოგი ი. შუმპეტერი, რომელმაც მათ სპეციალური ნაშრომი„ეკონომიკური გავითარებს თეორია“ (1911 წ.) მიუძღვნა. მანამდეც ეს პროცესები ცნობილი ეკონომისტების მხრივ ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. კერძოდ, მხედველობაში მაქვს ა. სმიტი, კ. მარქსი, ჯ. მილი, ა. მარშალი და სხვა. რომელთა ნაშრომებშიც წამოწეულია ამ პროცესების საკითხები.

ი. შუმპეტერი ეკონომიკურ ზრდას განასხვავებს ეკონომიკური განვითარებისაგან და განმარტავს როგორც რაოდენობრივ ცვლილებს ეკონომიკაში, რაც გამოიხატება დოვლათის - საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდებაში. ეკონომიკურ განვითარებად მის მიერ განსაზღვრულია დადებითი თვისებრივი ცვლილებები, სიახლეები პროდუქციისა და მომსახურების წარმოებაში, წარმოებას მართვისა და საერთოდ საქმიანობის სფეროებში. ი. შუმპეტერი ეკონომიკური განვითარების მთავარ ლოკომოტივად მიიჩნევს მეწარმეს და მეწარმეობრივ საქმიანობას, რომლებიც მის მიერ წარმოდგენილია ინოვაციათა მთავარ შემოქმედად. ი. შუმპეტერის იდეები ფართოდ გავრცელდა და მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თეორია შემდგომ განვითარდა. მასში ჩაება მრავალი მეცნიერი. შემუშავებულია ამ პროცესების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები. მათ გარშემო მიმდინარეობს კვლევები ცალკეული ქვეყნებისა და მსოფლიო მასშტაბით. იქმნება სამეცნიერო ინფორმაციული და პრაქტიკული ხასიათი ნაშრომები, რომლებშიც გაშუქებულია ამ პროცესების თეორიული მხარე და მათი მიმდინარეობა, რასაც მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

აქ მინდა შევეხო ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას თეორიული ასპექტით, სანამ განვიხილავ საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის საკითხებს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო ი. შუმპეტერის თვალსაზრისზე ეკონიმიკური ზრდის და განვითარების წყაროს შესახებ. მისი თვალსაზრისით, მათი მთავარი წყაროა ინოვაციები - სიახლეები, რაშიც ის გულისხმობს წარმოების პროცესის წარმართვაში სიახლეებს, მენიერებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო, გამომგონებლური აზრის მიერ მოწოდებული ნოვაციების დანერგვას. რომელსაც ის მიაწერს ინოვაციურ საქმიანობას. ის განვითარების წყაროდ მიიჩნევს მეწარმეობრივ საქმიანობას მეცნიერულ და ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის სფეროში. ი. შუმპეტერს მხედველობის გარეთ რჩება ინოვაციების ნამდვილი პირველი წყარო - მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების შემოქმედნი, გამომგონებლები, რომელთა მიერ შექმნილი ინოვაციები არის სწორედ ეკონომიკაში პროგრესის ლოკომოტივი. მაშასადამე, განვითარების მთავარი წყარო დავიწყებულია და მეორადი წყაროა წინ წამოწეული. მთელი მეცნიერულ- ტექნიკური პროგრესის შედეგები მიეწერება მეწარმეს, რაც,სხვა რომ არ იყოს გაუგებარია. რა თქმა უნდა. დანერგვას აქვს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ ის არაა განვითრების უპირველესი წყარო, მეორადია. ამ გარემოებას ეკონომიურ თეორიაში არავითარი ყურადღება არ ექცევა. რაც დიდ ხარვეზად მიმაჩნა. სინამდვილე გაუკუღმართებულად არის წარმოჩენილი.

ეკონომიკური თეორია არ იძლევა ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართების განსაზღვრას. საჭიროა ამისი გათ-

ვალისწინება. პირველადი განვითარებაა, რესურსების, მათი გამოყენების ტექნოლოგიების სრულყოფის, პროდუქციის სახეობათა განახლებისა და გაახლების, წარმოების ორგანიზაციის პროგრესი, რის კვალობაზე მეცნიერულ-ტექნოლოგიურ ინოვაციათა ბაზაზე ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკურ განვითარებაზე.

უმნიშვნელოვანესი საკითხია ეკონომიკური განვითარების აზრისა და მნიშვნელობის სწორად და ღრმა გაგება, რაც არც ი. შუმპეტერს. არც სხა მკვლევარებს არ მოუციათ.

საკითხი ეხება იმას, თუ რა პარამეტრებით შეფასდეს საბოლოოდ ეკონომიკის განვითარება და რა ეკონომიკური ინდიკატორები გამოვიყენოთ ამისათვის. რა თქმა უნდა, ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები დაგვჭირდება შუალედური შეფასებისათვის, მაგრამ საბოლოო შეფასებისათვის მხოლოდ სოციალური ინდიკატორები გამოდგება. მაშასადამე, მსჯელობა ეკონომიკურ განვითარებაზე თუ ზრდაზე საბოლოოდ სოციალურ ინდიკატორთა საფუძველზე უნდა იყოს. თუ გვინდა ჭეშმარიტებას დავეუფლოთ ამ საკითხში. განვითარებაზე სოციალურ სიკეთეთა ამსახველი მაჩვნებლების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. ამას შემდეგნაირად ვხსნი. უნდა გავაცნობიეროთ, თუმცა ბევრს გაუკვირდება ჩემი აზრი, ის, რომ ეკონომიკას არავითარი აზრი და მნიშვნელობა თავისთავად არა აქვს. მის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით. რომ ეკონომიკური დოვლათი ტრანსფორმირდება სოციალურ სიკეთეში, ეკონომიკა იმის გამო არის საჭირო, რომ სოციალურ სიკეთეთა წყარო. ვიტყვი იმასაც, რომ ეს უნდა იცოდეს ყველამ, რადგან ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ეკონომიკაშია ადამიანის არსებობის, განვითარების რესურსების წყარო, ეკონომიკური საქმიანობს სფეროსი დევს ადამიანის არსებობის აზრის - შემოქმედებით შრომითი საქმიანობის არეალი. ეკონომიკის სფეროში წარმოიქმნება ადამიანურ ფასეულობათა - სამართლიანობის, თავისუფლების საფუძვლები, ეთიკური ქცევის არეალი. მაშასადამე, ეკონომიკა მხოლო დოვლათის წარმოება და მოძრაობა - განაწილება გაცვლა და მოხმარება არაა. ისაა ადამიანურ ურთიერთობათა ადამიანის არსებობის სივრცე. ამდენად მისი განვითარება მხოლოდ წარმოების განვითარება კი არაა, არამედ პროგრესია მთლიანად ადამიანის არსებობის ჩათვლით. ეკონომიკურ განვითარებას უნდა მივაკუთვნოთ ადამიანურ ურთიერთობათა ისტორიული განვითარება, რაც ამჯერადაც მიმდინარეობს (თუმცა ყველა ამას ვერ ამჩნევს) წარმოების სოციალიზაცია, ჰუმანიზაცია., საერთო ინტელექტუალური, ცივილიზაციური პროგრესი.

ეს დიდი მომენტი სამწუხაროდ ყურადღების გარეშე რჩება. ამდენად საჭიროა ეკონომიკურ განვითარების თეორიის შევსება ახალი იდეებით, მეცნიერული დებულებებით.

ამ მოკლე ზოგადი შესავლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის პრობლემებზე გადავალ. მათ განვიხილავ ქვეყნის წინაშე ორი ისტორიული გამოწვევის - ევროპულ სამყაროში გადასვლისა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რიგებში გადასვლის თვალსაზრისით.

საქართველოს წინაშე ამჟამად პირველი გამოწვევაა ქვეყნების ევროპული გაერთიანების სივრცეში შესვლა, რაც ხალხის ბუნებრივი მიდრეკილება და საყოველთაო ნებაა. საქართველო თავისი ადგილმდებარეობითაც და ისტორიით ევროპისაკენ მიდრეკილების ქვეყანაა. ევროპის სივრცეში მისი არსებობა კანონზომიერია და სასარგებლო მისთვის და არა ზედმეტი ევროპისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ევროპულ ოჯახში უნდა ველოდეთ საქართველოს განვითარებას და კეთილდღეობის ამაღლებას ევროპისათვისაც სარგებლობის მოტანის პირობებში.

საქართველოს წინაშე მეორე გამოწვევა ნიშნავს, რომ უნდა ის განვითარდეს დაჩქარებული ტემპით, რომ ახლო მომავალში დღევანდელი განვითარებადი ქვეყნის სტატუსიდან მსოფლიოს 85 ქვეყნის რიგებში რომ იმყოფება, გადავიდეს განვითარებული ქვეყნების ოჯახში.

ორივე ეს გამოწვევა ურთიერთკავშირშია და დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე იმ აზრით, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე. ამისათვის არ კმარა მხოლოდ თუნდაც ეკონომიკური ზრდა, აუცილებელია ეკონომიკური განვითარება ფართო, ცივილიზაციური პროგრესი, მთელი საზოგადოებისა და არ მხოლოდ მის ნაწილისა, სოციალური ცხოვრების წინსვლა, ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის ხასიათი, სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბება ქვეყანაში, პოლიტიკური აღმავლობა ჭეშმარიტი დემოკრატიზაციის გზით, ეკონომიკური ცხოვრების ჩათვლით.

საქართველოს ამ მიმართულებით განვითარება მარტივი, იოლად გასავლელ გზა არაა.

ამ ოცდაათი წლის წინ ქვეყანაში დაწყებული მოვლენებს საზოგადოებრივი სისტემის ტრანსფორმაციის - სოციალიზმის დემონტაჟს, ს ს რ კ დაშლასთან დაკავშირებულ პროცესების მოჰყვა უზარმაზარი ნგრევა ეკონომიკაში. ეკონომიკური არნახულად მძიმე იყო კოლაფსიდან გამოსვლის პროცესის გავლენა ქვეყნის ცხოვრებასა და ეკონომიკაზე, სოციალურ ყოფაზე. მოხდა არსებული ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია. ძირითადი ინდუსტრიული საწარმოების დაშლა,. მრეწველობას მომუშავეთა რიცხვის - 550 ათასი კაცის შემცირება 137 ათასა-

მდეა, მშენებლობის კატასტროფული დაქვეითება, სოფლის მეურნეობაში არნახული ვარდნა. ყველა სხვა დარგის დაცემა უკიდურეს დონემდე.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლას ორი ათეული წელი დასჭირდა. იგი ხორციელდებოდა უცხოეთის დახმარებით და ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ეკონომიკური სოციოგენეტიკური და გავითარების დონის შენახვის კანონების ხელშეწყობით. ეს ნიშნავს, რომ ჩავარდნილი ეკონომიკის აღდგენისას ქვეყანას დაეხმარა მისი დიდი ისტორიული წარსულის დაგროვილი პოტენციალი და განვითარების მიღწეული დობის შენახვა გარკვეული ზომით (იგი ასეთ შემთხვევაში მთლიანად არ ქრება - ინახება ადამიანების გამოცდილების, საწარმოო სიმძლავრეების გარკვეული ნაწილის სახით. ყველა შემთხვევაში ამ პერიოდის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე დიდად უარყოფითი იყო - დაიკარგა განვითარების ორი ათეული წელი მაინც.

ამ პერიოდის რიგმა სტიქიურმა მოვლენამ - საკუთრების პრივატიზაციის მახინჯმა პროცესმა, ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის მოშლამ, ეკონომიკურ ურთიერთობათა ქაოსურმა ფორმირებამ, უწესრიგობებმა ეკონომიკისა და საზოგადოებაში, რასაც დაემატა სამოქალაქო ომი და შინა არეულობები დიდი დანაკარგები გამოიწვია. ახალი საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული - სათანადო გამოცდილების არ არსებობასთან, ეკონომიკური კავშირების რღვევასთან, ინვესტიციების დეფიციტთან, ადამიანთა მენტალიტეტის შეუგუებლობასთან ახალი სინამდვილის მიმართ, საერთაშორისო ურთიერთობების ახლებურად წარმართვის სიძნელეებთან და ა. შ.

ამ სამი ათეული წლის გავლილი გზის შედეგად გვაქვს გარკვეული მიღწევები, წინსვლა ქვეყნის ეკონომიკასა და მთელ ცხოვრებაში. ამასთან არსებული მდგომარეობა არ არის სასურველ დონეზე. როგორც აღნიშნეთ, ჩვენი ქვეყანა განვითარებადი ქვეყნების რიგებში იმყოფება, 85-ე ადგილზეა. ეკონომიკური ზრდის ტემპები გავლილ პერიოდში შეადგენდა 5-6 % - ია საშუალოდ. ეს არაა ეკონომიკური დაქვეითების შემდგომ ქვეყნის არსებული რესურსების პირობებში, სასურველი დონე. აღსანიშნავია მთელ რიგ ქვეყნებში გაცილებით მაღალი ტემპები. მაგალითად, უზარმაზარ ქვეყანაში ჩინეთში, და სხვა. მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკური ზრდა არც ისე სახარბიელოდ უნდა ჩაითვალოს.

ახლა, რაც მთავარია, ვნახოთ ეკონომიკური განვითარების სოციალური შედეგები. პირველ რიგში უნდა ითქვას ეკონომიკური უთანასწორობის შესახებ. საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვირვებით, საქართველოს მოსახლეობის უმდიდრესი 10 პროცენტის შემოსავლები 16-ჯერ აღემატება უმცირესი შემოსავლების მქონე მოსახლეობის 10 პროცენტის შემოსავლებს. ეს განსხვავება შეადგენს ჩეხეთში 5,2 ჯერ მეტს, ბულგარეთში - 7-ჯერ, გერმანიაში - 6,9-ჯერ, ფინეთში - 5,6-ჯერ, უნგრეთში - 5,5-ჯერ, უკრაინაში - 5,9-ჯერ, იაპონიაში 4,5-ჯერ და ა შ. მაშასადამე, ამ ქვეყნებში ეკონომიკა ბევრად უფრო მეტადაა სოციალურად ორიენტირებული, ვიდრე საქართველოში, ანუ საქართველოს ეკონომიკის განვითარება ნაკლებადაა მთელი ხალხის საერთო კეთილღეობისაკენ მიმართული. ის უფრო ემსახურება ადამიანთა ცალკეული ჯგუფების გამდიდრებას. საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა სოციალური ეკონომიკა. რაც არაა დადებითი მოვლენა. ეკონომიკის განვითარების ხარისხს ამცირებს. კაპიტალიზმის არსებობის მცირე პერიოდში ქვეყნის სიმდიდრის დიდმა ნაწილმა თავი მოყარა ადამიანთა მცირე ნაწილის ხელში. ამრიგად, ეკონომიკის ზრდა არათანაბარზომიერად მოქმედებს მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილის სასარგებლოდ., რაც არაა სახარბიელო და მიუთითებს მთლიანად ეკონომიკის განვითარების არაჯანსაღ ტენდენციაზე, ეს პირდაპირ მიუთითებს დოვლათის განაწილების უსამართლობის, არაეთიკურობის გამოვლინებათა არსებობაზე, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობს ცხოვრების დონეზე და მთელი ქვეყნის პროგრესზე, ცივილიზებულობაზე.

ეს მდგომარეობა სხვა ინდიკატორებითაც დასტურდება. ქვეყანაში 838 097 პენსიონერია, რომელიც ცხოვრობს 375-425 ლარით თვეში. ადვილი წარმოსადგენია მათი ცხოვრების დონე, როცა საცხოვრებელი ხელფასად ითვლება 1858 ლარია. არაფერს ვამბობ პენსიების შედარებაზე ევროპისა და სხვა ქვეყნებთან. საქართველოში უმუშევართა რიცხვი 222 ათასამდეა ანუ 16%-მდეა. ესენი სრულიად უშემოსავლო ადამიანებია. სოციალურ უზრუნველყოფაზე 670 ათასი ადამიანია - მოსახლეობის 17% ცოტა როდია მცირე ხელფასიანები, თუმცა ხელფასები იზრდება ნომინალურად, მაგრამ რეალური ზრდა ინფლაციის გამო არც ისე მნიშვნელოვანია. საკმაო ნაწილია მცირე 600-700 და ნაკლებ ლარზე მომუშავენი. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ან მეტივ ფაქტობრივად ღარიბთა რიგებს მიეკუთვნება, თუმცა სტატისტიკა გამცნობს. რომ ეს რიცხვი - 11,8-%-ია, რაც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვირვებით, საქართველოში მაღალია ბავშვთა სიღარიბე, ბევრი ბავშვი მშიერი იძინებს, რაც სავალალოა. აღნიშნული მდგომარეობა მხოლოდ ეკონომიკური დონით არაა გამოწვეული. ერთ მცხოვრებზე საქართველოში, მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2023 წელს შეადგინა 20 113 დოლარი.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური განვითარების სოციალური მიმართულების, ანუ შექმნილი დოვლათის მეტი სამართლიანი განაწილების პირობებში ადამიანთა საერთო კეთილდღეობა. ანუ იმათი კეთილდღეობა, ვინაც ამჟამად სიღარიბეში ცხოვრობს, უკეთესი იქნებოდა. მე მოვიტანე ევროპის ქვეყნებისა და იაპონიის მონაცემები შემოსავლებს უთანაბრობის შესახებ, რომელთაც საქართველოს მაჩვენებელი დაახლოებით სამჯერ სჭარბობს. ეს რომ ასე არ იყოს, საქართველოში არსებული დოვლათის პირობებში ცხოვრების საერთო დონე გაცლებით მაღალი იქნებოდა და ადამიანთა ცხოვრებაც უკეთესი. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობა, რომ არა მარტო ეკონომიკური ზრდაა მნიშვნელოვანი, არამედ განვითარების ხარისხი. მისი სოციალური ორიენტაცია საზოგადოებს პროგრესის, საზოგადოების ჰუმანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, ჩემს მიერ აღნიშნული ორი გამოწვევა, კიდევ ვიტყვი - ევროპულ ოჯახში მოხვედრა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რიგებში გადასვლა დაკავშირებულია სწორედ სოციალურად ორიენტირებულ, ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკის როგორც წარმოებისა და ადამიანურ ურთიერთობათა ერთობლიობის პროგრესზე.

სათანადო გამოკვლევებით მტკიცდება, რონ საქართველოს სჭირდება წლიური ეკონომიკური ზრდის საშუალო 8-- 10 % მაინც და ეკონომიკის სოციალიზაცია, თანაბარზომიერი სიკეთე საზოგადოების ყველა წევრისათვის, ანუ განვითარების ცივილიზაციური ტიპი. ცალკე მსჯელობის საგანია ყოველივე ამის შესაძლებლობები საქართველოში. ძნელი არაა ვამტკიცოთ, რომ ისინი არსებობს თვით ბუნებრივი პირობების - მდებარეობის, კლიმატის, ბუნების სიმდიდრეების - წიაღი-სეულის, ჰიდრო რესურსების, ადამიანური კაპიტალის - ანთროპოგენური სოციალური ენერგიის სახით და სხვა, რაც ცნობილია ბევრი ჩვენი მოქალაქისათვის. მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ფაქტორების როლი. რომელთაც ბევრი ეკონომისტი არ იზიარებს. სწორედ მათი აქტიური და მაღალი ხარისხით გამოყენების შედეგად ბევრი ქვეყანა წარმატებული გახდა ეკონომიკითა და სხვა მიმართულებით. მაღალი ეკონომიკური და სოციალური აქტიურობა მოგვცემს გარანტიას არსებული შესაძლებლობები სრულად გამოვიყენოთ და ღირსეულად ვუპასუხოთ ჩვენს მიერ აღნიშნულ ორ ისტორიულ გამოწვევას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს განვითარებული ქვეყნების რიგებში გადასვლასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მისი განხორციელების სირთულეც. მართალია, ქვეყნის განვითარების პარამეტრი არა მხოლოდ სულადობრივი წარმოებაა, არამედ სხვა მახასიათებლები, კერძოდ, ადამიანის განვითარების ინდექსით გათვალისწინებული, მაგრამ მ შ პ სულადობრივ წარმოება ერთ-ერთ ძირითადია. ამ მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვენების მინიმალურ დონეს. ეს ჩანს თუნდაც ყოფილი საბჭოთა კავშირი რესპუბლიკების მაჩვენებლებთან შედარებითაც, რომელთაც ბოლო ადგილები უკავიათ განვითარებული ქვეყნების რიგებში. ისინი ბევრად მაღალ დონეზე არიან საქართველოსთან შედარებით. სახელდობრ, როცა საქართველოს მ შ პ სულადობრივი წარმოების მაჩვენებელი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, 2023 წელს შეადგენდა 22063 აშშ დოლარს, ესტონეთისა იყო 46 481 დოლ., ლატვიისა - 41 605 დოლ., ლიტვისა - 50 169 დოლ, რომ არაფერი ვთქვათ ევროპის სხვა ქვეყნებზე, სადაც ეს დონე კიდევ უფრო მაღალია, მაგალითად ჩეხეთისა - 51 195, ხოლო უმაღლესი ლუქსენბურგისა - 142 214, აშშ -სი - 76 399 დოლ, შვეციის - 64 678, გერმანიისა- 63 150 დოლ, და ა.შ. როგორც ჩანს საქართველოს საკმაოდ დიდი მანძილი აშორებს თუნდაც ბოლო ადგილებზე მყოფი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის დონიდან, მგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მანაც მაღწიოს იმ დონეს, რაც საჭიროა განვითარებული ქვეყნების რიგებში გადასვლისათვის. საქართველოზე უფრო ხელსაყრელი პირობები ბუნებრივად არა აქვთ აქ დასახელებულ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს და ზოგიერთ სხვას, რომელთა მაჩვენებელი დაახლოებით ორჯერ აღემატება საქართველოსას. დღეისათვის არსებული განსხვავების გადალახვა გარკვეულ დროში საქართველოსთვის არაა მიუღწეველი, თუ გამოყენებული იქნება ის შესაძლებლობები, სოციალური ენერგიის რესურსები, რაც ქვეყანაში არსებობს. საგულისხმოა, რომ საქართველო წინ მიიწევს მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგში მშპ სულადობრივი წარმოების მიხედვით. კერძოდ, მან ბოლო 22 წლის განმავლობაში გადაინაცვლა 117 -ე დან 87-ე ადგილზე. ჩემი ვარაუდით, საკმარისი ეკონომიკური აქტიურობის პირობებში განვითარებული ქვეყნების რიგებში გადასვლისათვის საქართველოს შეიძლება ეყოს 8-10 წელიწადიც. ეს ნიშნავს საქართველოს მშპ წარმოების სულადობრივი სიდიდის 2,5-3-ჯერ გაზრდას. ვფიქრობ, ეს მიზანი საქართველომ უნდა დაისახოს და მას უნდა მიაღწიოს. რაც შეიძლება მოკლე ხანებში. ამ მხრივ მთავარია ეკონომიკური აქტიურობის მაღალი ხარისხი, ეკონომიკის ინტენსიური ზრდის ფაქტორების განსაკუთრებით სოციალური ენერგიის ანტროპოგენური წყაროების მეცნიერების, შემოქმედი ელიტის გამომგონებლური უნარის, განათლების, ინსტიტუციური ფაქტორების სრულად ამოქმედება, მეცნიერულად გამართული ეკონომიკური

პოლიტიკა, პატრიოტული შემართება, რეფორმატორული აზროვნება და საქმიანობის ქარიზმატული სტილი.

მომავალი განვითარების ხასიათის გარკვევისას უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების განვითარების კანონები და გრძელვადიანი ისტორიული ტენდენცია, კანონზომიერება, რაც საყოველთაო მასშტაბით მოქმედებს. მე ვხვდები, რომ ერთ-ერთ ასეთ ფუნდამენტურ, მთელი ისტორიის თანმდევ ობიექტურ კანონად გვევლინება და საზოგადოების პროგრესს წარმარ,თავს, ეკონომიკისა და ხალხთა ცივილიზაციურ განვითარებას განაპირობებს. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ეკონომიკური ძალაუფლების თანდათან და ეტაპობრივად, ნახტომისებრ კლების (დასუსტების) ტენდენცია, რომლის შედეგად განვითარების კვალობაზე ხდება მშრომელი ადამიანის თავისუფლების გაფართოება. ამის შედეგად მოხდა მონის ნაწილობრივი (მცირე ზომით) გათავისუფლება და ბატონყმურ წყობაზე გადასვლა. შემდგომი განვითარების ძალით განხორციელდა ახალი უფრო მეტი ნახტომი - დაქირავებულ შრომაზე გადასვლა, რომლმაც მნიშვნელოვანად შეცვალა მშრომელი ადამიანის მდგომარეობა, მოუტანა მათ მეტი თავისუფლება, სხვა ადამიანისაგან გარკვეული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მაშასადამე, საერთო დამოუკიდებლობაც. ყველა ადამიანის თავისუფლების გზაზე ისტორია ამაზე არ შეჩერდება და აღნიშნული კანონის მოქმედება მოგვიყვანს ადამიანის, მისი შრომის სრულ გათავისუფლებამდე წარმოების საშუალებათა საკუთრების ეკონომიკური ძალაუფლების სრული დაცლით. ჩემი ხედვით, ეს არის ისტორიული განვითარების გზა, ცივილიზაციის, ჭეშმარიტად ჰუმანური საზოგადოების დამკვიდრების გზა ამ ჩვენს პლანეტაზე. ამით მოუწყობელი, დაულაგებელი, გაუკუღმართებულად არსებული მსოფლიო, კაცობრიობა ჭეშმარიტად ბედნიერების ხანაში გადავა. ამ პერსპექტივას ვხედავ მე საქართველოსთვისაც.